

ყოველკვირეული გაზეთი

№ 7



ფასი 10 კპ.



28 ღვინობისთვე 1912 წ.  
მიმდებარება—საქართველო, თბილისი  
1 წლ.,—5 მან. ამა 1912 წლ.  
დამლევამდე—1 მან., 50 კაპ.  
სოფლის მასწავლებელთ, სამ-  
კითხველოებს და უმაღლეს სას-  
წავლებლებში მოსწავლეთ დაე-  
თმობათ 4 მან.

ყოველ კვირეული საზოგადო-ეკონომ-  
იური და სალიბერალური უზრუნველყოფის  
რედაქცია ღია ყოველ დღე 11—1 საათ.

მისამართი: თბილისი, Габаевский пер. №3 რედაქცია „კლდე“. ღებულისა: თბილისი კლდე.


სარჩევი: მუთაურა, არჩევნების ქრონიკა. ზრესა. ბაღვანე-  
თი რ. გ—ესი. ხვენა საქმეები—მეგობარისა.  
სიზმრის ვარდი—გრაშაშვილისა. ჩამომავლო-  
ბითი სენი. ზეტრე ბავრატისანი—ალ. ფრონელი-  
სა. ივანე ჯაბადარი—ეკალისა. წერილი ვახუშტის  
სახისა. კოლხური და კვანთური ცხოვრება. კო-  
რესპონდენცია ბაქდაშ. ხარკვა.

თბილისი. 28 ღვინობისთვე  
1912 წ.

წარსულმა არჩევნებმა აშკარად დაგვანა-  
ხვეს, რაშია ჩვენი ძალა და საიდან მოვლის  
მას საფრთხე. ციფრების წინააღმდეგ ბრძო-  
ლა შეუძლებელია. ციფრები კი შემდეგს  
გვეუბნებიან: ანდრონიკაშვილს მისცა ხმა 21  
ამომრჩეველმა. ამ ოცდა ერთ ამომრჩეველ-  
ზედ გამოილაშქრა ოცდა სამამ ამომრჩეველ-  
მა, რომლის შემადგენლობა ასეთი იყო: ექვ-  
სი ქართველი, თხუთმეტი სომეხი და სხვა.  
ამნაირად, ქართლ-კახეთის არჩევნების ბე-  
დი გადასწყვიტა სომეხმა ამომრჩეველმა და  
ვხლა საქმე ის არის მიუკერძოებლად ვსთქვათ,  
ვინ რომელი მოისამსახურა—ექვსმა ქართ-  
ველმა ამომრჩეველმა თხუთმეტი სომეხი, თუ  
15-მა სომეხმა ამომრჩეველმა. ექვსი ქართვე-  
ლი. არჩევნები უმთავრესად უმრავლესობის

პრინციპზე არის დამყარებული და—ცხადია,  
სომეხმა 15-მა ამომრჩეველმა გადაუღებეს  
ექვსი ქართველი და ამნაირად არჩევნები ისე  
დააბოლოოვს, როგორც მოითხოვდა მათი  
სურვილი. ეს ისეთი ფაქტია, ეს ისეთი მჭერ-  
მეტყველი საბუთია, რომ თვით ქართველ  
სოციალ-დემოკრატიის არსებობაც კი ამიე-  
რიდან უნადაგო და სამარცხვინო მოვლენ-  
აა. სოციალისტური პარტია, რომელიც  
ეროვნულ ჯგუფების წინააღმდეგ სარ-  
გებლობს, და განსაკუთრებით იმარჯვებს  
ისეთის ძალით, როგორც სოლოლაკის პლუ-  
ტოკრატიაა, არამც თუ ღირსი არ არის სო-  
ციალისტობისა, იგი ჩრდილს მიაყენებდა  
თვით უკიდურეს რეაქციონურ პარტია-  
საც კი.

სოციალისტობა ამ 15 სომეხ ამომრჩე-  
ველისა, რასაკვირველია, ჩვენს წარმოდგენას  
აღემატება. სიხარულის ცრემლები ხატისო-  
ვისა და არშაკ ბაბოვისა ეს უფრო ცვარად  
ნაქცევი ორთქლია იმ სოციალისტურ შეჭა-  
მანდისა, რომელსაც აწარმოვებს სომხის  
ბურჟუაზია აქ საქართველოში და იმავე ღროს  
სომხის პროვინციებში გაჰყავს უკიდურესი  
შოვინისტი დებუტატები. ეს დაამტკიცეს  
ბაქოს არჩევნებმა, სადაც, სომხის კურიაში,  
წინააღმდეგ მემარცხენეებისა, მათ გაიყვანეს  
შოვინისტი დებუტატი. ასეთი ვითარება ჩვენ



# არჩევნების ქრონიკა

ქართლ-კახეთის დეპუტატის არჩევნები სახელმწიფო სათათბიროში და მისი სახარა-დგარო შედეგი

ქართლ-კახეთის დეპუტატის არჩევანის დროს გამოცხადდა 44 ამომრჩეველი, რომელნიც ასე დაიყვნენ მისი საარჩევნო უბნის წინ:

თეთრი	შავი
18-მა ქართველმა	15-მა სომეხმა
3 „ თათარმა	1 „ „ქართველმა“ (ივ. ჯაბადარმა)
2 „ სომეხმა	7 „ სოციალ-დემოკრატმა

სულ 21 თეთრი კენჭი.

სულ 23 შავი კენჭი.

ამ რიგად 15-მა სომეხმა დაშნაკაცაქანმა, ბ. ხატისოვის მეთაურობით, გადასწყვიტა ქართლ-კახეთის ქართველ დეპუტატის, ლ. ანდრონიკაშვილის ბედ-იღბალი, გააშავა იგი და თავისი ხმები მთლად მისცა ქართველ ერის მოღალატეთა წარმომადგენელს და თავის მოძმეს—რუსთა სოციალ-დემოკრატიის პარტიის წევრს—კარლო ჩხეიძეს.

ჩვენ ყოველთვის დარწმუნებული ვიყავით, რომ ეხლანდელ სომხის ბურჟუაზიის პოლიტიკურ-ეკონომიურ გეგმაში შედიოდა და შედის ის ელემენტიც, რომ საქართველო რაც შეიძლება მეტად დაასუსტონ, ეკონომიურად დაჩაგრონ და საზოგადოთ, მის ეროვნულ იდეალების განხორციელებას სისტემატურად გზავდ გადაელობონ ხოლმე. მაგრამ, ჩვენ მაინც ვერ წარმოვიდგენდით იმ ძლიერ სიხარულსა, „ისტერიკების“ და „ბედნიერ ცრემლების“ თანხლებით, გამოწვეულს სომეხ ამომრჩეველთა შორის, ქართველ დეპუტატის გაშავების შემდეგ.

ასე გულახდილად და ცინიკურად!

ინჟინერი არშაკ ბაბოვი „ისტერ-კამ“ აიტანა... სოც.-დემოკრატებმა ხელით გამოიტანეს იგი საარჩევნო დარბაზიდან... ბაბოვი ტიროდა... იცინოდა. რა ამბავია!? ჰკითხეს მას... რა მოგივიდა? „ვაჰ! მამაჯან! ანდრონიკაშვილი გავაშავეთ... მიხარია... ჩვენი ძვირფასი კარლო, კარლო ჩხეიძე გავიყვანეთ... სიხარულისაგან თავბრუ მეხვევა!..“ მოსთქვამდა არშაკ ბაბოვი... ბევრი სხვა სომეხებიც იწმენდნენ ცრემლიან თვალებს...

დიდი სიხარულით მიგვებნენ საერთოდ სომხის ამომრჩეველები ქართლ-კახეთის დეპუტატის გაშავებას...

ეს იყო ის მნიშვნელოვანი წუთი, როცა სომ-

გვავალებს საქვეყნოდ ვალიაროთ, რომ ქართული სოციალ-დემოკრატიის მკვებავი არის სოლოღაკის ბურჟუაზია და ამერიიდან, ბრძოლა როგორც ერთთან, ისე მეორესთან აუცილებელი *Conditio siue qua non* უნდა იყუვეს ჩვენის მოქმედებისა.

ამ დამარცხების შემდეგაც, ღირსება ერისა მოითხოვს უფრო ერთგული გახდეს თავის მისწრაფებისა და ყველას დაუმტკიცოს, რომ *ადეა*, რომელიც ასულდგმულებს მას, უმწიკვლოა და დაუმარცხებელი. მაგრამ იგივე ღირსება მოითხოვს ჩაუკვირდეთ იმ მოვლენას, რომლის მსხვერპლიც გავხდით ჩვენ. როცა ქვეყანას არა ჰყავს ქეშმარიტი დემოკრატია, ან უკეთ რომ ვსთქვათ, როცა იგი იმდენად სუსტია, რომ არ შეუძლიან საქმის მეთაურობა; ქართველი სოციალ-დემოკრატია კი ერის უწმიდეს საუნჯეს 15 საარჩევნო ხმაში ჰყიდის და როცა 15 სომეხი ბურჟუა ფაქტიურ თავდასხმას ახდენს ჩვენს ეროვნულ წმიდათა-წმიდაზედ, ჩვენს ეროვნულ ინტერესებზედ, მაშინ ოცდა ცხრა აზნაური—ამომრჩეველი, გაწვრთნილი და დარაზმული სამი ივნისის კანონით,—ის უდრეკი ძალა უნდა იყუვეს, რომელზედაც უნდა იმტვირონ თავიანთი „სოციალისტური“ შუბლები 15 სომეხმა ამომრჩეველმა. როცა თბილისის მაზრაში, ამ ქართველ ფეოდალთა ბუდეში, ორბელიანების და სუმბათაშვილების ნაცვლად ისეთი „აზნაურები“ გადიან ამომრჩევლებათ, როგორიც ხატისოვია და ისეთი „ქართველები“, როგორც ჯაბადარი — ეს იმას ნიშნავს, რომ ქვეყანა განსაცდელშია ჩვენისავე უთაურობით, და ეს გარემოება ძალაუფლებურად ჰქმნის მომავლისთვის ისეთ სიტუაციას, როცა რომელიმე რეაქციონერ მემამულეს უფრო მეტი ეროვნული ღირებულება ექმნება, ვიდრე „რევოლუციონერ“ ჯაბადარს.

აი, სურათი იმ მომავალ რეაქციისა, რომლისკენაც მიაქანებს ქართველ ხალხს სოციალ-დემოკრატია და აი, ის სიტყვები, რომელსაც ვამბობთ ეხლა, არჩევნების შემდეგ და რომელსაც ვიტყვით მერე—არჩევნების წინ.

ხის ბურჟუაზიამ ნათლად და ს ბოლოოდ გამოხატა თავისი სიძულვილი ქარ ველ ერისადმი.

ეს იყო ის წუთი, რომელიც ღრმად აღინიშნება ქართველის გულში და აუცილებლად მოითხოვს მისგან თავგანწირულს ბრძოლას იმათთან, ვინც ქართველ ხალხს ნაოფლარით გაივსეს ჯიბეები, საკუთარი სომხის ერის მეტხორცადაც შექნენ და სიხარულის ცრემლით სტირიან ქართველების დამარცხებაში ხელის შეწყობის დროს.

მაგრამ მომავალი გვიჩვენებს საბოლოოდ ვინ დამარცხდება და ვინ არა.

დამსწრე.

პ რ ე ს ა

მშვენიერი და წრფელი გულით დაწერილია „ზაკაკაზიეში“ წერილი გ. ევანგულოვისა არჩევნების შესახებ, სადა იგი ჰკიცხავს იმ ნაწილს სომხობისას, რომელსაც

„თავისი შაღიტიკური აღზრდა მიუღია ქალაქის თვითმართველობაში... მე ვაზიან იმ საციონალურ, რომელიც სამხობაზედ, რომელიც აიხვედნენ ხაციონალისტ ზაზაჯანოვის და უკიდურეს შემარცხენე ბჟეზადიანის ამორჩევას კრავრულ უბედურებად ჩასთვლიდნენ, ერევნისა და განჯის ამომრჩევლებად რომ უთვლიდნენ.“

შემდეგ იგი გაკვირვებით კითხულობს:

„ჩა ისეთი სპეციფიკური ქართველი მიზანი უნდა ჰქონდეს სახელმწიფო სათათბიროში ქართველ საციონალისტს, მიზანი, რომელიც საერთოეს უმზადებდეს ანა მართა სამხურ კრავრულ ინტერესებს, ანამედ თვით საფლავაკელებისასაც“?

და ათავებს:

„გარდა შაღიტიკური სიბუცისა, ჩემმა თანამემამულეს გამოიხიანეს ანა კეთილ-სინიდასიერებაც. მე შესმის კიდევ, რომ ამომრჩევლებმა მსხვილ შემთხვევებისა, რომელიც ამოიჩინა შემთხვევით შეკრებილმა უმრავლესობამ, ნება მისცა თავის თავს ხმა საციონალისტისთვის დაეთმო — ხომ ესაჩნებოდა სიბუცის სტატუსი სავეტნიკებიც! მაგრამ ანა ჰქონდათ, ჩემს აზრით, ანამედ აუ წნეობრივი, ანამედ ფარმაღური უფლებაც კი, ხმა მიეცათ საციონალისტისთვის იმათ, ვინც გაუდა მრავალსიტების სიით და საციონალისტებთან ბრძოლას იპირიფერებდა“.

„ზაკაკაზიეში“ სწერს ვილაც გრუზინი (ქართველი?):

„ქეთაისის გუბერნიამ, ხადაც ქართული კლემენტები უფრო შეურველია, მოიპოვა ანამედ საციონალისტების უღელი და გელაგანის ამორჩევით სთქვა, რომ მის სურს გაეცინოს ტერფის სისახლეში ფხიზელი, მშვიდი სიტუაცია ქრავრულ ხალხის დაუწევებულ ჰინ ვარამზედ და თბილისის გუბერნიამ“.

უმბატებს გაზეთი

საცა მცხარებთ ანამედ საერთო ანა აქვთ საციონალ-დემოკრატებთან, ესევე ვერ მოახერხა.

ბრალი სომხებს ეღებათო.

ბალკანეთის ომი

რითი გათავდებოდა ბალკანეთის სახელმწიფოთა ომი ოსმალეთთან, იგი რომ ნორმალურ პირობებში სწავლობდეს, ეს ძნელი გამოსაცნობი არ არის. თანამედროვე ომი არ არის დამოკიდებული იმდენად პირად გამბედაობაზედ და ღონეზედ, რამდენადაც ჯარისკაცთა რაოდენობაზედ, მათ შეიარაღებაზედ და მეომართა ხაზინის სიმდიდრეზედ. ამ მხრივ, ნორმალურ პირობებში, ოსმალეთი გაცილებით სჯობნის ბალკანეთის კავშირს. ინიტომ ომი აუცილებლად სლავიანთა და ბერძენთა სრულის განადგურებით თუ არა, დამარცხებით მაინც უნდა გათავებულიყო; მით უფრო, რომ განვითარებით ოსმალეთი უფრო მალა თუ არა, დაბლა არა სდგანან. მაგრამ მოკავშირეთ ცუდი დრო შეურჩიეს, სწორეთ ისეთი დრო, როცა ძლიერი მტერი დასუსტებული იყო შინაური და გარეშე ომით.

ოსმალეთი ჯერ ვერ ჩამდგარიყო ნორმალურ კალაპოტში, სამხედრო რევოლუციისაგან შერყეული; ჯერ პროვინციების აჯანყება და შფოთი ვერ დაეცბრო, რომ უძლები იტალია მიესია და განაპირა ტრიპოლიტანიის ჯიჯგნა დაუწყო. ოსმალთა მხნეობა არ შედრკებოდა ამ ომშიაც, რომ გაჭირვებულ დროს ბალკანეთის ტურა-მალეებიც არ დახროვილიყვნენ და გამწარებული, სწრაფი იერიში არ მიეტანათ მათზე. პირადი და რაინდული ერთიანებას არ აძლიეს ადამიანს, მაშინ ეძგეროს მტერს, როცა იგი სხვას ებრძვის და შენკენ ზურგი აქვს მოქცეული, ან როცა იგი გასაჭირშია, მაგრამ სახელმწიფო პოლიტიკისთვის ეს სწორედ „ბრძენთა მომენტია“ და აკი იქვეა კიდევ ჩერნოგორიის ზარბაზანმა ოსმალეთის საზღვარზედ, როცა ჯერ დასაფლავებულნიც არ იყვნენ ტრიპოლიტანიის გმი-

რები, როცა ჯერ კიდევ ზავი არ იყო ჩამოგდებული იტალიასა და ოსმალეთს შორის.

Duobus litigantibus, tertius gaudet!\*) და აკი გათახსირებული ევროპა უყურებს სვირს, ელის და უხარია, რომ გაშმაგებული მტრები ერთმანეთს შეაღწევენ და შერყევიან იარაღს; რომ შემდეგ, მშვიდათ, დიპლომატიურად ხელები ჩაყოს ბალკანეთის საქმეებში და გემრიელი ლუკმები იხელოთ. გაზეთები სწერენ, საზოგადოება ღელავს, ზოგის სიმპატია ერთ მხარეს იხრება, ზოგისა მეორეზედ, მაგრამ „რეალური პოლიტიკის“ მეთაურნი რფხიზლადა სჯიან და განსაკუთრებით მარტო თავის სახელმწიფოთა მატერიალური ინტერესის თვალსაზრისით მოქმედობენ. გულუბრყვილონი არიან ის მწერლები და ის პოლიტიკოსები, რომელთაც ჰგონიათ, რომ გულწრფელი მიმართვა სახელმწიფოებისადმი, ან თხოვნა სამართლისა, რამე შედეგს გამოიღებს.

ევროპის გათახსირებული სახელმწიფონი, მარტო მაშინ ჩაერევიან საქმეში და შესწყვეტენ საშინელო სისხლის ღვრასა, როცა ერთმანეთთან მშვიდობიანად შეთანხმდებიან და საომრად გამოსულნი მტრები კი ერთმანეთს უკანასკნელს კბილებს შეაღწევენ და, არაქათ გამოღეულნი, არაუც თუ წინააღმდეგობას ვერ გაუწევენ იარაღით, „კულტურულად და განათლებულად“ მოწყობილ ცარცვას, არამედ „სიხარულით“ დაემორჩილებიან მათს მსჯავრს, ოღონდ ამოსუნთქვის შეძლება მიეცეთ.

ამისთანა მდგომარეობაში ჩავარდნილ ოსმალეთისათვის ძნელია საბოლოო გამარჯვება და მარტო ომის გაქიანურება თუ მოაბრუნებს მისკენ ბელონის სახეს. შორეულ საზღვრებზედ გაფანტული ჯარის გადასხმა ბრძოლის ველზედ, გაძნელებულია უგზოობით და საჭირო ხომალდების უქონლობით. ომის სამზადისად დრო თითქმის არაჰქონია ოსმალეთს და საომარი საზღვრები თითქმის დაუცველი ჰქონდა. ამით აიხსნება ასეთი სწრაფი იერიშები და შუაგულამდის შეჭრა სლავიანებისა „ბრწყინვალე პორტას“ სამფლობელოში. სტამბოლსაც კი ექადებიან, მაგრამ რაც უნდა დავარდნილი იყოს ერი, იაფად არ დაუთმობს მტერს 500 წლის ნაამაგდარს სატახტო ქალაქს. მთავარს, გადამწყვეტს ბრძოლასაც არ შეიძლება ისე შევხედოთ, რომ ოსმალეთის ვარსკვლავი ჩასულია, თუ ამ ციციხლწაკიდებულ ტერიტორიაზედ არ ამოყვეს თავისი

ნიშტი შეთანხმებულმა და „მშვიდობიანობის მოყვარე“ ევროპიელ სახელმწიფოებმა და, ან არ დადასტურეს მომხდარი ამბავი, ან ერთმანეთს არ დაუწყეს გლეჯა სხვის სარჩო-სუბიუგუბუბუ გამო.

მაშინ კი დატრიალდება საქმის მსვლელობა და ევროპიელ სახელმწიფოთა ომი არ ეგვანება ეხლანდელ ომს. საფრანგეთი, გერმანია, ავსტრია, ინგლისი, იტალია, რუსეთი—აი ის აქლემები, რომელთ წაკიდება არა ერთ კოზაკს გასტეკყავს, არა ერთ სახელმწიფოს დაურღვევს და მიუფლეთ-მოუფლეთ საზღვრებს, არა ერთს გაუცამტვერებს საუკუნოებით შეძენილს კულტურას.

ბალკანეთის საკითხი ყოველთვის იყო და არის ის საშიში, მგრძობიარე აფგილი, რომლის ხელის ხლებას შეუძლიან მთელი ევროპა და მასთან კაცობრიობა—ააფეთქოს.

ამით აიხსნება ის გაფაციცებული თვალყურის დევნება პრუსიისა, საზოგადოებისა და დიპლომატიისა, რომელიც ჰაერში საერთო ომის სუნს ატრიალებს, ერთის მხრით, და მეორეს მხრით სცდილობს „შეიარაღებული მშვიდობიანობა“ ჩამოაგდოს.

ეს საშინელი საერთაშორისო ომი ისეთი ეამია, რომ ძილს უფრთხობს არა ერთს პატროსან ადამიანს და ცბიერს დიპლომატს. უნდა ვიფიქროთ, რომ ყველაფერს დონეზედ დააყენებს დაბრძნილი და გამოცდილი დიპლომატიაში, ევროპიელი „კონცერტი“, თორემ უცნაური მოვლენის მაყურებლად გადავიქცევით: კოზაკებს ჩხუბი მოუვიდათ და აქლემები კი გაიქულიტებიან, რადგან ბალკანეთის უძლოურ სახელმწიფოთა შეჯახება, თანამედროვე საომარ ტენიკის განვითარების დროს, უბრალო თამაში იქნება შედარებით იმასთან, თუ რა გამანადგურებელი შედეგი მოჰყვება ორს, ან რამდენიმე ძლიერ სახელმწიფოს შეჯახებას.

რ. გ.

### ჩვენი საქმეები

წკრალა II

(დახასრული \*)

გვგონია, ვერავინ დაგვწამებს იმ ველურ აზრს, ვითომ ჩვენ წინააღმდეგნი ვიყვნეთ

\*) როცა ორნი ჩხუბობენ მესამეს უხარიათ.

\*) იხ. ჟურნალი „კლდე“ № 5.

კლასიკურ გიმნაზიებისა და უნივერსიტეტებისა საზოგადოთ და ქართულ კლასიკურ გიმნაზიებისა კერძოდ. პირიქით ვიტყვით, ქართული გიმნაზიები რომ არ დაგვეარსებინა თბილისს და ქუთაისში, ჩვენი სწავლის საქმე მთლად გაუბედურებული იქნებოდა. მაგრამ მაინც გავიმეორებთ, რომ ამ გვარი ტიპის სკოლებმა, ხელი შეუწყეს ჩვენი ხალხის გაღარიბებას, ერის დაუძლურებას და „ნედოუჩკების“ გამრავლებას.

არის ისეთი საგანი, რომელსაც ორი მხარე აქვს: კარგი და ცუდი. მაგალითად კრედიტი კარგი საქმეა, მაგრამ იგი კარგია მხოლოდ თავდაქვრილ, საქმიან ადამიანისათვის. ჩვენებურ თავად-აზნაურებისთვის კი კრედიტი რომ არავის არ გაეხსნა, ისინი არ გაღარიბდებოდნენ და ჩვენი მიწა-წყალი სხვის ხელში არ გადავიდოდა.

ასეა ჩვენი სკოლების საქმეც. წარსულ საუკუნეში, თუ დაუკვირდებით ჩვენს ცხოვრებას, დაინახავთ, რომ თავად-აზნაურობისა და მასთან ერთად გლეხის გაღარიბების ერთ-ერთი მიზეზი სწორედ ჩვენი დღევანდელი სეზუნი სკოლები იყო. გლეხებისა ცვაბობ, იმიტომ რომ თავად-აზნაურობის გაღარიბება, იმ პირობებში, რა პირობებშიაც ჩვენ ვიმყოფებით, გლეხების გაღარიბებასაც ნიშნავს, რადგან შემამულის ხარჯის ზრდასთან ერთად, იზრდებოდა გლეხების გარდასახადისიც. მაგ, გლეხების გარდასახადი, ეგრედ წოდებული „ფოსტის ფული“ რომ გადავარდა და სამაგიეროდ ადგილ-მამულს დაეღო გარდასახადი, მამულის პატრონს ძალიან არ სწყენია და უადგილ-მამულს გლეხს ძალიან არ გაჰხარებია, რადგან ორივემ კარგად იცოდა, რომ ეს გარდასახადი ისევ გლეხის კისრიდან ამოვიდოდა.

თავად-აზნაურობის გაღარიბება კი შემდეგ გვარად ხდებოდა. თავადი და აზნაური ვაჟი-შვილს აბარებდა კლასიკურ გიმნაზიაში და სამხედრო კორპუსში, ხოლო ქალი-შვილს ინსტიტუტში და ზავედენიეში. ვაჟი გამოდიოდა იურისტი, ექიმი, ინჟინერი, აფიცერი, ქალი ფრანგულად მოლაპარაკე და „უმაღლეს წრისთვის“ მომზადებული კონტრაქტინი და ორივე თხოულობდა დედ-მამისაგან „უმაღლეს წრეში“ ჩარევას და დიდ-კაცურ ცხოვრებას. „კნიაზ“, „კნიაჟნა“! ამ ღირსებას შეფერება უნდოდა. ბრწყინვალე ტიტული ბრწყინვალე ცხოვრებას თხოულობდა და „ბალები“, „ვეჩერები“ თეატრები ნადირობა, დოლი და სადილ-ვახშმები წლითი-წლობამდინ ერთი ერთმანეთზე იყო დაღაბმული და საქართველოს

ადგილ-მამული გირავდებოდა და იყიდებოდა ტანისამოსისა, ეტლებისა, ცხენებისა, ღვინისა და შამპანიურის ხარჯების დასათარაფად.

ქართველის შვილი, ქალი უფრო ვაჟისა, რომ მამულის გასაუმჯობესებლად კი არ იზრდებოდა, იზრდებოდა მის დასაქცევად. ქართველ ერს გამაღონიერებელ-გამაძლიერებელი შვილი კი არ ევლინებოდა, ევლინებოდა სიმდიდრის გამათახსირებელი რჩილი.

სახელმწიფო, ამ ასი წლის განმავლობაში გულმოდგინეთ ზრდიდა ჩინოვნიკებსა და შინაურ-გარეულ მტრების დამცველთ; ჩვენს სოფლებში კი, იმ თავით ამ თავამდე, მუშაობს ძველებური გუთანი და კავი, ითვისება ძველებურად სიმინდი და ლობიო და ხალხი კვლავ იღრჩობა სიბნელესა და სიბინძურეში.

უტყუარი ქეშმარიტებაა, რომ სახელმწიფოს, აყვავება-გასაძლიერებლად, ჩინოვნიკებისა და სამხედრო პირების გარდა, სჭირია აგრონომები, სამთო ინჟინრები, ტექნიკები, კომერსანტები და სხვა. რადგან ერთი რომ ატრიალებს სახელმწიფო შექანიზმს, მეორე იცავს მას მტრისაგან, მესამე, მეოთხე... ხელს უწყობს მისი მიწა-წყლის სიმდიდრის შემუშავებას და ხალხის ეკონომიურ აღორძინებას და ეს აზრი, ქეშმარიტი სახელმწიფოს ცხოვრებაში, უფრო დიდს მნიშვნელობას იღებს დამოკიდებულ ერებს მდგომარეობაში, რადგან სახელმწიფოს გამგებლობა და საზღვრების დაცვა აღარ თხოულობს იმდენ ძალას და პირს. ჩვენ კი, ამისდა წინააღმდეგ სწორედ მარტო ჩინოვნიკებსა და სამხედრო პირებს ვზრდიდით და არ ვფიქრობდით იმ გვარ შვილების აღზრდაზედ, რომლებიც ხელს უწყობენ ეროვნულ სიმდიდრის შექმნასა და გაძლიერებას.

მაგრამ ჩვენი უბედურობა ამით არ თავდება. ეს უბედურობა—უბედურობა საერთოდ რუსეთის სახელმწიფოსი—ჩვენთვის, ქართველებისთვის, როგორც რუსეთთან დამოკიდებულ ხალხისთვის, ორკეცდება და სამკეცდება.

ქართველების კულტურის დაცემისა და გაღარიბების გარდა, თვით ქართველობა, როგორც ერი, უძლურდებოდა და უძლურდება, რადგან მას დღითი დღე აკლდება საუკეთესო შვილები. როგორც უწინ, მაგალითად ალა-მაჰმად-ხანის დროს გვაკლდებოდა საუკეთესო ქალები, რომელთაც თათრები თავიანთ ჰარამ-ხანებში გზავნიდნენ.

მოგვხსენებთ, ჩვენ თავად-აზნაურთ ნება მიუ-

ცათ თავიანთი შვილები მიაბარონ სახელმწიფო ხარჯით კავკავისა და ფორონციის სამხედრო კორპუსებში.

ხელმოკლე თავადი და აზნაური სიხარულით ჩაეჭიდა ამ „წყალობას“ და ყოველ წლივ იგზავნება ხსენებულ ქალაქებში ასობით ბავშვი.

რა მოვლით ქართველების ამ შვილებს?

სამშობლოდან გაძევება და გადაგვარება!

ბავშვი ჯერ ამ კორპუსებში სწავლის დაშთავრებამდე ქართულს იფიწყებს, მისი ნორჩი თავი თანდათან ჰკარგავს ხსოვნას მშობლებისას, მახლობლებისას, თავისი სოფლისას, სამშობლოსას, მისი ბუნებისა, ზნე-ჩვეულებისას, შემდეგ სწავლას ამთავრებს, იცვამს აფიკრის ტანისამოსს და მიდის (კი არ მიდის, ჰგზავნიან) შუაგულ რუსეთისა და ცი ბირის ქალაქ-სოფლებში და მის ქართველობას უნდა გამოეთხოვოს სამუდამოდ, რადგან რუსეთის ქალაქი და სოფელი ხდება მის მეორე სამშობლოდ. ხშირად უფრო საყვარელი და სასურველი ვიდრე ნამდვილი სამშობლო.

ახლა იკითხეთ, რამდენი ქართველი ახალგაზრდა ყმაწვილი ათავებს ყოველ წლივ სწავლას რუსეთის უნივერსიტეტებში. სულ ცოტა რომ ვიანგარიშოთ, ყოველ წლივ ხომ გაათავებს ორმოცი, ორმოცდა ათი ყმაწვილი. სად არიან ეს უნივერსანტები? რატომ არ სჩანან ისინი ჩვენი ცხოვრების საზოგადო ასპარეზზე? ამას თავი დაანებეთ, რატომ არ სჩანან ისინი ჩვენს ქალაქებში? წელიწადში ერთ-ორი შემოემატება ჩვენს საზოგადოებას და ამით თავდება საქმე.

დანარჩენნი? დანარჩენნი ისევ რუსეთის დაბაქალაქებში რჩებიან, ზოგი ექიმად, ზოგი ვექილად, ზოგიც ჩანოვნიკად და სასუდამოდ იკარგებიან ჩვენს სამშობლოსა და ერისათვის.

ასე და ამ გვარად ჩვენივე ცდითა და ფულით ვუზრდით რუსეთს ერთგულ ჩინოვნიკებსა, საზოგადო მოღვაწეთ და აფიკრებს და შემდეგშიაც ჩვენი საქველ-მოქმედო დაწესებულებანი, მდიდარი კერძო პირები და ყოველი ქართველი ოჯახი მზად არის თვითონ ლუკმა გაიწყვიტოს, თავისი გაჭირებული საქმეები უკუ აგდოს, ძვირად დამჯდარი გროში გაიღოს და უნივერსიტეტებში კი სტიპენდიანტები იყოლიოს.

მდიდარი ქართველი მანათს არ გაიმეტებს სოფლის სკოლისთვის, კულტურულ დაწესებულებათვის, კოოპერატიულისა და საკრედიტო ამხანაგობისათვის, უნივერსიტეტის სტიპენდიებისთვის

კი ათასობით გადასდებს და ჰგონია ქართველი ერის ბედნიერება ამაში და მხოლოდ ამაშიაო.

ეს ფსიხიკა ქართველისა დიდი ხანია ერთ დონეზე სდგას და მის შეცვლას არავითარი ნიშნები არ ეტყობა.

ახლა გადავიდეთ „ნედლოუჩკებზე“.

არ ვიცი, რომელი უბედურებაა უფრო საფალალო და საეგლახო, ჩვენი ერის გაღარიბება და უძღლურება, თუ ამ „ნედლოუჩკების“ გამრავლება.

გემნაზიასა, თუ სემენარიის პარველ, მეორე კლასიდან უნიკოლისა თუ უსახსრობის გამო დათხოვნილი და სახლში დაბრუნებული ახალგაზრდა, თავის ოჯახისა და საზოგადოების მეტ-ხორცად ხდება. თუ აზნაურია ან თავად, იარაღს იკრავს წელზე და ხალხსა ჰყვლეფავს, ან დუქანში ქეიფობს. და თუ გლეხია, იცვამს შავს ხალათს, თავის მოძმეებში გამოსარჩევად, და სოფლის ქეჭის დამრიგებლად ხდება. ერთსაც და მეორესაც ანბანი უსწავლიათ, ორი პატარა წიგნაკი წაუკითხავთ და „ნასწავლ“ ადამიანებში სდებენ თავს. მუშაობა არ შეუძლიანთ, ან როგორ უნდა იმუშაოთ, რომ კავის მოკიდებას არ ჰკადრულობენ, ინგლისის გუთნის მოხმარება კი არ იციან, სიმინდს არ გათოხნიან, ბრინჯისა და ბამბის თესვა-მოვლა კი არ იციან, პანტასა და ტყემაღს არ მოაუვლიან, კალვილისა და დიუშეზის გაშენებას კი ვერ მოახერხებენ, ერთის სიტყვით, იმ გვარად, რა გვარადაც დღეს ჩვენს სოფლებში მიწას უვლიან და მუშაობენ, ეს შუა გზაზე დარჩენილი ახალგაზრდანი, არა ჰკადრულობენ, გაუმჯობესება მუშაობასა კი მათ არ შეუძლიანთ, რადგან მათთვის ეს არ უსწავლენბიათ, ხოლო ლათინურისა და ბერძნულის ენების არსებით სახელთა ბრუნვა და ზმნების დახრა მათ ცხოვრებაში გამოუსადეგარია.

რალა დარჩენიათ მათ? ან პოლიციის მოხელეობა ან პოეტობა და ბელეტრისტობა. რაც მოადგებათ ენაზე. იმას ამბობენ და რაც აზრი მოუვათ თავში, იმასა სწერენ.

ამ გვარ ახალგაზრდების გაკიცხვა არ შეიძლება. ისინი დამნაშავენი არ არიან. სკოლების ორგანიზაცია ისე უნდა მიეწყოს, რომ ღარიბს შეეძლოს ამ გვარი სწავლის მიღება, რომელიც მას სიღარიბიდან გამოიყვანს, ერთ საქმეში უნიკოსა და ზარმაცს შეეძლოს ისეთს საქმეს მოჰკიდოს ხელი, რომელშიაც ის გამოიჩენს მეტს სიყვარულსა და უნარს. სოფლის მეურნეობის ასაღორძინებლად საჭიროა სამეურნეო სკოლები, ჩვენს მთაველში

ამაღულ სიმდიდრის შესამუშავებლად საქიროა პოლიტექნიკუმი, ხალხის საკეთილდღეოდ საქიროა პროფესიონალური სკოლები და სხვა.

ჩვენ კი ამისთანა არაფერი გვაქვს. გვაქვს მხოლოდ ისეთი სასწავლებლები, რომლებიც დღეს

ჩვენთვის ისაა, რაც ქალაქებზე და დაკონკრეტებული შარვალზე ჩაცმული ინგლისურ მასუდის ფრაკი.



# სიზმრის პარადი

...და სიზმრის ვარდო! ისე გასტყურ ველს სიაზაუით, ისე ციგლიგობ ამოფეთქალ ცეცხლისა მზეზე — თითქოს ზეპქლას ფრთებ-დანამულს ცრემლის ვარაუით, ჯერ არ ეკბინოს თავის ბავით შენსა ბაკეზე!...

ვაი შე! თორემ შენ ჭეჭეჭეჭა მთის ნაკადული ზეპქლას ისრით ატრიალ ბაკეს კვლავ გაგიმთელებს და ცელქი ქარიც, საქარწილად ფრთებ-მამართული მასუის ჭახჭახზე აგაცეკვებს, აგამეტეველებს.

ვაი შე! თორემ შე მიჯნურმა, შე მოხიბლულსა, ისე ჩამკაცნა და დააკვდა ჩემს მიშქრალ ტუჩებს, — რომ საუკუნო ამ ხსოვნის ძეგლს — ამ კონკრის წელეულსა, ვერც ერთი არსი ვერ მოარჩუნს, ველ მიაუფნებს!...

ი. გრიშაშვილი.

# მემკვიდრეობითი სენი

(ავერჩენკოდან)

ქმრის სამუშაო ოთახში შევიდა ცოლი, დაეცა სავარძელში და მწარედ ქვითინი დაიწყო.

— რაო?... რა მოხდა?!... შეგკითხა გაოცებული ქმარი.

— ჩემი შვილი... ვანო... უბედურობა... ჩვენი უბედურობა...

— რაო?... ძალიან ხომ არ დაგლიჯა?!...

— არა... არავის დაუგლიჯია... ტირილით ძლივს და უბასუხა ცოლმა... მერე ლამპას მიაპყრო ცრემლისაგან დაშუშებული თვალები და დაბალი ხმით საიდუმლო ამბავს მოუყვა.

— ჯერ კიდევ... გუშინ საღამოს... არას ვამჩნევდი... წუხელის ივანშმა ჩვეულებრივად... ისე როგორც ყოველ ღამე... მერე დაწვა... დღეს დილით რძით ჩაიც დალია... მერე სეირნობდა... ახლა კი... მოვიდა ჩემთან... ასე ორი საათის წი-

ნად... ველარ ვიცან: თვალები უბრწყინავდა... ხელებსაც ისე ათამაშებდს, თითქოს... ბაწრებზედ ჰკიდიაო.

— უიშე... შვილო!.. შევეკოვლე.

— „დედლილო“... მეუბნება... „დედლილოჯან... მამატივე, მაგრამ დრამა კი უნდა დავსწერო“ - ვო.

ქმარი უგონოდ წამოვარდა, სავარძელმა შორს ბრახვანი მოიღო.

— რა...ოოო...?!

ცოლმა მეტის სიმწარისაგან მარტო თავი და ჩაიქნია...

— მაშა-ქა... მეუბნება... „დრამის დაწერა მინდაო“...

— ვანოჯან... შევევედრე... დაფიქრდი, შვილო... აბა, ეგ რა მოგლიანდებია მეთქი... განა თუ შეეფერება... მე, ობერ-ოფიცრის ასულს... მამა შენიც ბანკის მსახური... და შენ კი...

აქ ცოლმა ცრემლები ველარ შეიმაგრა...

— აბა რას გვიშვრები, შვილო... მოხუცებულობაში, ყელს რაზედ გვჭრი... გვარს რად გვირცხვენ მეთქი... მაინც არ დამიჯერა...



— დედლილოჯანო!.. მეუბნებოდა... ალბად ასეთია ჩვენი ბედისწერა... რომ ერთი დრამა მიინც უნდა დავსწეროვო...

ოთახში სამარისებული სიჩუმე ჩამოვარდა.

მაგიდაზედ დაყრდნობილი, უხმოდ ქვითინებდა მამა.

— ო...ხ!.. ღმერთო... რისთვის?.. ამასაც შემასწარი!?. ოხ!... ჩემისავე ხელით აკვანშივე რომ...

მამამ აქ მაგრად თმებში იტაცა.

— არა!... ჩვენვე ვართ დამნაშავენი... ჩვენვე. განა ჩვენ ჯვარისწერის უფლება გვქონდა... რატომ დროზედვე არ გაუწიეთ ანგარიში იმ მოვლენასა და ფაქტს, რომ ჩემი ღვიძლი დეიდა წმინდათ ცერცვტა იყო... შენი ცხონებული მამა კი ღოთობისათვის სამხედრო სამსახურიდანაც დეთხოვნათ.

— ხა!.. ხა!.. ხა!..—ეს ჩვენი ჩამომავლობითი ცოდვის კითხვაა...

სიმწარისაგან გონება დაკარგულ მამამ ერთი კიდევ გაღიხარხარა შემხარავი ხშითა.

პატარა უსინათლო ოთახში მაგიდასთან რჯდა ახალგაზრდა ყმაწვილი-კაცი. შეშინებულივით თვალებს აფაციცებდა და სწერდა.

ოდნავ გაღებულ კარებთან, წამდაუწუმ მიიბნენდა დედა მისი, იწმენდდა ცრემლიან თვალებს და ოთახის მეორე ბოლოს, სავარძელში ჩასვენებულ და გარინდებულ ქმარს, ჩურჩულით ეუბნებოდა.

— სწერს!.. მეორე მოქმედებასა სწერს.

— სწერს!! გვიშველე უფალო... და გადმოგვხედე, ვიძაარცა მრავალწოდებულსა იობსა, მონასა შენსა... ხომ უწყი... უფალო, რომ ყოველივე შენ ხელთაა...

ახალგაზრდა ყმაწვილი დრო გამოშვებით თავდაღუნული შედიოდა სამზარეულოში; გადაშრალტუჩებით ამოსწრუბავდა ხოლმე მთელ ტოლჩა წყალსა და კვლავ უბრუნდებოდა წერას.

— შეილო... ვანო!.. ხელ-აპყრობილი უძახდა მამა. ჩვენო ცოდვის შეილო...

მალე მთელ ქუჩას მოედო ეს ამბავი.

ერთხელ ქალაღდის საყიდლოდ რომ ჩავიდა მედუქნესთან (მოსამსახურეს ცივი უარი ეთქვა ქალაღდის მოტანაზე), მედუქნე დაღვრემილი სახით მიეგება:

შეილო... მე კარგად ვიცნობ თქვენ მშო-

ბლებს. პატრონისანი ხახლია... თქვენ-კი... აბა რას მიედ-მოედებიან!.. დრამასა სწერა?!..

ყმაწვილმა ყვიციანი სახით გაუღრიტა მედუქნეს და ლაპარაკი ხუმრობაში ჩაუტყბრა...

— განა შენთვის კი უკეთესი არაა?.. შკრტი?... ქალაღდშაც რომ ფულს მოიგებ?!...

— ღმერთმა მაშოროს მაგისტანებს... წყუულიმც იყოს გშმაკის კერძი... სულს წავიწყებდავ... სახლისაკენ რომ ბრუნდებოდა, ქუჩის ბიჭ-ბუჭობა დაუხვდა.

— არა... ეს ლაწირაკიც რომ დრამებსა სწერს?!...

— რომელი, ბიჭო?... ესაა?!..

— ხო!.. სწორედ რომ ეს დოყლაპია ესა... ეგ თავქარიანი ეგა...

— გაუშალე ერთი მაგას... დაიქყვილა ვილა-ცამ...

— სსსზიუ .. უუ?.. მოისმა ქვებისა და ჯოხების ზუზუნნი...

ყმაწვილი კაცი გულგახეთქილი ეზოში შევიარდა. ალაყაფის კარებთან მეეზოვე დახვდა, რომელმაც, მითომ და უცაბედათ, თავზე სავსე ვედრანარეცხი წყალი გადაასხა.

კიბეზედ რომ არბოდა, მეზობლის მოსამსახურე შეეხეჩა. ბებერმა დედაკაცმა პირჯვრის წერა დაიწყო, საჩქაროდ შავი ფული ჩაუღო ხელში და წაიჩურჩულა:

— საცოდავის შეილი...

მეოთხე მოქმედებას რომ სწერდა, მშობელმა დედამ მწუხარებას ველარ გაუძლო და უჩუმრად მიიცვალა. უკანასკნელ წამში დედის გულს შენდობის ოხვრა და აღმოჰხდა.

დრამა რომ დაამთავრა, ყმაწვილი კაცი მალულად საცენზურო კომიტეტისაკენ გაემართა.

— რას გვიბრძანებთ?... შეეკითხა მსახური.

— დრამა მოვიტანე...

— ოხ... დაგლახვრა ღმერთმა... მე კი მეგონა... აბა აქ რაღასა სდგებარ. წაღი და გარედ კიბეზედ ჩამოჯექი... თორემ... კაცნი ვართ, აქ ვისიმე პალტო არ ააცოცო. ხომ იცი სიფრთხილეს თავი არა სტკივაო.

კიბის საფეხურებზე დინჯად ჩამოჯდა ყმაწვილი კაცი და მთელ ორ საათს ჯიუტად უცდიდა. როგორც იყო, ცენზორიც გამოვიდა. ახალ გაზრდა დრამატურგი სწრაფად გაემართა მისკენ, გამოემცნაურა და ხელი გაუწოდა. ცენზორმა თავისი ხელი ჯიბეში ჩაიდო, დაქმანული სახით შეხედა ხელნაწერსა და ჰკითხა:

- დრამა???
- დრამა...
- რათა?..
- ისე...
- მერე თქვენ წალების წმენდა იცით?
- არა...
- აბა... ეგ არის და!.. წალების წმენდა არ იცით და დრამებს კი სწერთ...

— ოხ! უფალო და მეუფეო... რატომ არ დაგვაბრძავენ, რომ აღარ მზერდნენ ჩვენი თვალები ამ უსაქმოდ მოხეტიალე უქნარებს?!... გაეთრიე...

ახლა მან თავისი დრამა თეატრის ანტრეპრენიორს წაუღო. უკანასკნელი რეპეტიცია ჰქონდათ და მუშები დეკორაციებსა სდგამდნენ. გაუგეს თუ არა მოსვლის მიზეზი, ერთმა მუშამ დასადგმელოთახის მარცხენა კედელი თავში მოახვედრა. მეორემ კი, ბალის მოსაწყობად დახატული დიდი ბუჩქნარი, ცხვირ წინ ჩამოუქროლა. ყმაწვილმა ყველა ეს დიდის მოთმინებით გადიტანა და, როგორც იყო, ანტრეპრენიორამდისაც მიადწია.

- რითი შემძლია სამსახურის გაწევა?!.. შეეკითხა ანტრეპრენიორი.
- მე თქვენ დრამა მოგიტანეთ.
- დრამა...ო?!... მერე რაში მინდა მე თქვენი დრამა?!?...
- დასადგმელად...
- როგორ თუ დასადგმელად?!...
- უკაცრავად... თქვენ განა დრამებს არა სდგამთ? .. კრძალვით შეეკითხა გაოცებული ყმაწვილი.
- სრულებითაც არა!.. მაგრამ... დიახ... რასაკვირველია, ვსდგამთ, ვინაიდან... რომ... თეატრი ხომ უდრამოდ არ შეიძლება.
- ხი...ხი... გაიფხრიწა ახალგაზრდა ყმაწვილი.
- ხო და...აი...იქნებ ჩემი დრამაც დასდგათ?... ნება მიბოძეთ მოგართვათ...
- ანტრეპრენიორმა გამოართვა შეკრული ხელნაწერის დასტა ქალაღდი, გადაატარიღლ-გადმოატრიღლა და გაუშვირა.
- არა...ესეც არ გამოდგება... სისულელეა.
- ღმერთო ჩემო!.. ჯერ ხომ არც კი წიგნიკითხავთ?!...
- მე უკვე ვიცი...ბატონო...მერწმუნეთ. ამ საქმეში ვარ დაბერებული.

სპირიდონ... ერთი ეს ყმაწვილი მიაცილე კარებამდის.

ახალგაზრდა დრამატურგმა გზაზედ დიდი პორთფელი იყიდა. სახლში რომ მივიღოთ, თავისი დრამა მძიმედ ამ პორთფელში ჩასდო. მერე ჩავიდა ქალაღდის საყიდღად და ახალი დრამის წერა დაიწყო...

მამა მისი დარღით სახლიდან აღარ გამოღიღდა. თავის სამუშაო ოთახში იჯღდა და გარინღებული სულ რაღაზღდაც ფიქროზღდა. ბოღღოს მშობღლის გულღმა მაინც ვერ მოიღთმინა...

ფეხ-აკრეფათ შევიღდა შევიღთან, როღდესაც იგი მეოღთხე დრამასა სწერღდა, ჩაუღვარღდა ფეხებში და ბოღღმისღგან ხმა-წარსულღმა საზარღღად დაიღრღიღღა:

— ვანოჯღან!... შევიღო! ღვთის გულიღსათვის გვაბატივე... შენს მშობღლებს. ჩემი ღვიღღლი ღვიღღდა... შევიღო... მთღღად ცერცვეტა იყო. ცხონებულ ღღეღღიშენის მამა კი თურღე განუწყვეტლიღვ ღღოთობღდა...

შეგვინღვევი... შევიღო...

გ. მამრადე.

## პეტრე ბაბრათიონი

(1765—1812)

VI

ფინღანღღის ბრძოღღის ველიღდან, პეტრე ბაგრატიონი გაგზავნეს მოღღდაღიაში მომქმედ რუსის მხედროზღბის მთავარ სარღღღად 1809 წღღის მარღია-მოზღბისთვის პირველ რიცხვებში. ოსმაღღეთთან ომს ბოღღო აღარ უჩანღდა, სამს წელიწადს გაქიანურღდა იგი და აღამიანს ისე ეგონება, რომ ნიქიერი სარღღალი იმისთვის გაისტუმრეს შორეულს ოსმაღღეთში, რომ ღღოზღედ ბოღღო მოუღღღოს ამ გულიღს ვამაწყალღებელ ომსაო. მაგრამ საქმე სულ სხვანიღრად ყოფიღღა.

როგორც ზემოღ მოვიხსენიეთ, თ. პეტრე შუატანი, კაცი იყო, ძარღღვიანი, შავგვრემანი, ხმელ-ხმელი და დიდ ცხვირა. ასეთის სახისა და ტანის პატრონს ღღამაზ ვაეკაცად ვერავინ ჩასთელიღდა და ძნელიღდ თუ ქაღღებს გაღღარეღდა და მათს დაუღღგრომელს გულს მოინადირებღდა. მაგრამ მისმა სამხედრო დიღღებამ, საარაკო და საოცარმა ვაეკაცობამ მოხიზღღა იმპერატორ აღღექსანღრე პირვეღღის და, ეკატერინე პავღღეს ასული, რომელსაც

გაგიჟებოთ შეუყვარდა ბაგრატიონი. ბატონის ასული ეკატერინე ამ ჟამად იყო ესე 18—20 წლისა. ბატონის ასულს საჩქაროდ საქმრო მოუძებნეს და 1809 წ. აპრილის თვეში მიათხოვეს ოლდენბურგის პრინცს გიორგის. თ. პეტრემ ჯიუტობა გამოიჩინა და თვისს უკმაყოფილებას არა ჰყოფდა, რომ ბატონის ასული ეკატერინე გაათხოვეს. თ. პეტრეს გაჩერება და დაყოვნება პეტერბურგში უხერხული გახდა და გადასწყვიტეს მისი თავიდან მოშორება. უბოძეს სრული გენერლობა (ინფანტერიის გენერლობა) და გაგზავნეს მარიამობისთვის დასაწყისს 1809 წ. ოსმალეთის სამხდვარზე მთავარ სარდლად. ასე რომ უმაღლესის სამხედრო ჩანის წყალობა და სარდალთ-სარდლობა მოლდავიაში მოქმედ არმიისა საპატიაო ექსორიას და განდევნა-გაძევებას უფრო წააგავდა, ვიდრე დამსახურებულ წყალობა-პატივსა.

—:—

პეტერბურგიდან ექსორია ქმნილს პეტრე ბაგრატიონს ალბად მალე განეკურნა გულის იარანი, რაკი მოლდავიაში მოქმედ ჯარის უფროსობა ჩაიბარა. აქამდისინ თუ ბაგრატიონი სხვის ხელ ქვეითად მოქმედებდა, ამ ჟამად იგი სრულ უფლებიანი მთავარ სარდალი იყო და ისე აწარმოებდა საქმეს, როგორც მისი ნიჭი, გონება და სამხედრო გამოცდილება ამჯობინებდა. სათქმელი ხოლო ისაა, რომ პეტერბურგის ისტორიამ ცოტა არ იყოს კვალი დააჩინა და გული გაუტეხა. უმაღლესი კარი ძველებურის ნდობით აღარ ექცეოდა თ. პეტრეს.

თ. პეტრე ბაგრატიონი ჩვეულებრივის სიმხნევით უფროსობდა და სარდლობდა რუსის მხედრობას რუს-ოსმალთა ომის დროს 1809 წ. და მალეც დაამთავრებდა ამ გაქიანურებულ ლაშქრობას, რომ ხელი არ შეეშალათ დასხვისთვის არ გადაეცათ სარდლობა.

პეტერბურგიდან პეტრე ბაგრატიონი მარიამობისთვის დასაწყისს გაისტუმრეს ოსმალეთის სამხდვარზე და 18 მარიამობისთვის უკვე წაართვა ოსმალებს მაჩინი. რომ იტყვიან, გადაფრინდაო, სწორედ ასე უნდა ვიფიქროთ. მაშინდელის საშინელი გზით ორი ათასი ვერსი გაიარო, არც კი დაისვენო ხეირიანად და მაშინადვე მტერს შეუტოო და დაამარცხო, სწორედ რომ ყველა ეს იმის მოწამეა, რომ თ. პეტრემ სავსებით შეითვისა სუვოროვის ტაქტიკა: სიჩქარე და ზედ მისევა.

ოსმალეთთან ბრძოლაში 1809 წ. ბაგრატიონს

ჰყავდა სულ 20.000 ჯარის-კაცი. ჯარის ნაწილი იზმაილის ალყას უნდებოდა, ხოლო დანარჩენით დაიწყო მოქმედობა მაჩინის შემდეგ ბაგრატიონმა დაიჭირა 22 მარიამობისთვის გირსოვო, 29-ს კიუსტენდუი, 4-ს ენკენისთვის დამტვრია ძლიერ ოსმალთა რაზმს, სადაც 12000 საუკეთესო ჯარის-კაცი ითვლებოდა; 11-ს ენკ. ალყა შემოართყა სილისტრიას, 14-ს აილო ალყა შემოართყული იზმაილი და 27-ს ბრაილოვი. სილისტრიის საშველად გაეშურა დიდი ვეზირი. ბაგრატიონი წინ გადაელობა დიდს ვეზირს და 10-ს ოქტ. საშინლად დაამარცხა. მაგრამ მიუხედავად იმისა სილისტრიის აღება საკეთილოდ ვერ დასრულდა, რადგან ყოველის მხრიდან სილისტრიის საშველად ოსმალთა ჯარები დაიძრნენ და სილისტრიაში იმოდენივე ჯარი შეიკრიბა, რაც თვითონ ბაგრატიონს ჰყავდა. რაკი დამცველ და მოიერიშე ჯარის რაოდენობა გათანასწორდა, მოუხერხებელი შეიქნა ციხის აღება ალყის შემოვლებით, ან იერიშის მიტანით და ამის გულისათვის დროებით შეაჩერა ბაგრატიონმა ლაშქრობა და თვისი რაზმი გადაყვანა მდ. დუნაის მარცხენა ნაპირზე გაზაფხულზე ბაგრატიონი ჰფიქრობდა ხელ-ახლა დაეწყო მოქმედება, რაკი ჯარის რაოდენობას გააძლიერებდა.

ბატონის ასულ ეკატერინე პავლოვნასთან რომანმა ახლა იჩინა თავი. ამ რომანით ამრეზილმა სასახლემ დრო იშოვნა და უკმაყოფილება გამოუცხადა პეტრე ბაგრატიონს, სილისტრია რომ ვერ აილო. პრფელი შემთხვევა იყო ეს შემთხვევა, რომ პეტერბურგმა არ მოუწონა ბაგრატიონს სამხედრო საქციელი და როგორც ხედავთ ამ უკმაყოფილების საბაბი სამხედრო მოქმედება კი არ არის, არამედ სულ სხვა, რასაც ლაშქარ-ომიანობასთან არავითარი კავშირი არა აქვს. რომ ეს მართალია, სჩანს იქიდან, რომ პეტრე ბაგრატიონს უბოძეს ოსმალეთთან ლაშქრობისთვის უდიდესი ჯილდო—ანდრია პირველ წოდებულის ორდენი.

10-ს მარტს 1810 წელს ბაგრატიონის ნაცვლად ოსმალეთთან მეომარ რუსის ლაშქრის სარდლად დანიშნეს გრაფი ნ. მ. კამენსკი.

აღლ. ფრონელი.

# ივანე ჯაბადარი

ვის არ უნახავს, ან არ მოუსმენია რომელიმე ქართულ კრებაზედ ან დაწესებულებაში ეს „ცნობილი ქართველი მოღვაწე“ მისი ლამაზი სიტყვა, ტკბილი, ნარნარი, გულწრფელი.

ყველგან გამოდის ქართველ მოღვაწის სახელით, თავ-აღებულის, ამაყად გადასცქერის სხვა „წვრილ ფეხა ქართველ მოღვაწეებს“.

ყოველ ქართულ კრებაზედ, ოპოზიციაში ითვისება.

ყველგან სცდილობს მითომ ქართველობის საქმე გამოაკეთოს,

აბნეული გზა-კვალი გაუწმინდოს, გაუკაფოს. „პაწია ქართველი მოღვაწენიც“ გაფაცოცებით შესცქერიან მას, ყურადღებით უსმენენ ყოველ მის სიტყვას და გაიძახიან:

რა ჭკვიანია!

რა გულადი და გულახდილი მოღვაწეა!

რა რიგად უყვარს ქართველობა და უვლის მის საზოგადო საქმეებს!

ასე ეჩვენებოდა ყველგან და ყოველ გულუბრყვილო ქართველს „ცნობილი ქართველი მოღვაწე“...

ასე ეჩვენებოდა შორდამ „ტკბილი, ნარნარი, გულწრფელი ქართველების მოამაგე, მოქირნახულე“ ბ. ივანე ჯაბადარი.

მაგრამ გულუბრყვილობა რომ მოვიშოროთ და უფრო ახლო მიუდგეთ ამ „მოღვაწეს“ და მის „მოღვაწეობას“ დაუკვირდეთ, თვალწინ წარმოგიდგება საშინელი ტიპი „ქართველისა“, ამონახეთქი დღევანდელ გაოხრებული ქართული ცხოვრებისა.

ქართული საქმე მისთვის შეჭამანდია!

ქართული იდეალი მისთვის ის კოვზია, რომლითაც ამ შეჭამანდს გაიხლებათ.

და აი, ბ. ივანე ჯაბადარი სწორედ ამ „მოღვაწის“ სახით დათარეშობს ჩვენს საქმეების გარშემო, უვლის და „პატრონობს“ მას...

მაგალითები გნებავთ? აი...

მოგეხსენებათ, კახეთის რკინის გზის კონცესიის აღების დროს რა ალიაქოთი ასტყდა მის გარშემო? ქართველმა თავად-აზნაურობამ დიდი შრომისა და ჯათის დახარჯვის შემდეგ, მოაწყო სამშობლო ქვეყნისათვის ფრიად მნიშვნელოვანი საქმე:

კახეთის რკინის გზის გაყვანა იმ პირობებში, რომ გზის პატრონობა მმართველობა და შემოსავალი ქართველების ხელში უნდა დარჩენილიყო...

ივანე ჯაბადარი გადაუდგა ამ საქმეს ყაყანი, ლანძღვით, გინებით... შეოქრდა მისი შოგიერთი გულუბრყვილო ქართველი ინტელიგენტი და იერიში მიიტანა ამ საქმის მეთაურებზე...

„თქვე ტუტუცებო, უჭკუებო, უვიცებო? ქართველობამ როგორ უნდა მოგანდოთ ეს დიდი საქმეო? ტყუილია, თქვენ კახეთის რკინის გზას ვერც გაიყვანთ და ვერც მოუვლით? თქვენი აღებული კონცესია გროშად არა, ლირსო“, ამბობდა მათ წინააღმდეგ „გულწრფელი“ ბ. ივანე ჯაბადარი...

ამ გამოლაშქრებამ საზოგადოებაშიაც ალიაქოთი გამოიწვია... სხვებიც აყაყანდნენ... საქმის წინამძღოლები, რომელნიც ასე თავგამოდებით მუშაობდნენ ამ საქმისთვის, ნაწყენები და შეურაცხყოფილნი, მზად იყვნენ მიენებებინათ მეთაურობა სამაგალითოდ დაწყებულ საქმისა...

ბ. ჯაბადარსაც ეს უნდოდა!

რათა?

იმიტომ რომ, როგორც ბოლოს აღმოჩნდა, ივანე ჯაბადარი იყო წარმოდგენილი უცხო (ვგონებ სომხების) კაპიტალისტებისა, რომელთაც უნდოდათ კახეთის რკინის გზა თავის ხელში ჩაეგდოთ და თავის დამცველად ჯაბადარი გამოგზავნეს... მაგრამ ბატონ ჯაბადარმა ლელო ვერ გაიტანა, ვერ მოახერხა... იქნება ეხლა მოახერხოს და სომხის კაპიტალისტების სიღნაღ-ბაქოს რკინის გზას ჩვენი კახეთის რკინის გზა ჩააყლაპინოს! მაგრამ ქართველთა ღმერთიც მოწყალეა! ამასაც როგორმე თავიდან ავიშორებთ...

დაუბრუნდეთ ეხლა კიდევ ორიოდ წასრულ მაგალითს ამ „ქართველ მოღვაწის“ მოქმედებისა.

ვის არ ეხსომება ბ. ჯაბადარის „იდეური პოზიცია“ უკანასკნელ თბილისის საქალაქო არჩევნებში, როდესაც იგი გადაეღობა ქართველების არჩევას ქალაქის საბჭოში და ცინიკურად მიეკედლა სომხებს? ვისაც არ ახსოვს, წაიკითხოს მაშინდელი ქართული გაზეთები („სახალხო გაზეთი“ და სხვები).

მაგრამ რად ვიაროთ ეგრე შორს!..

იმ კვირია დამთავრებულ არჩევნებში სახელმწიფო სათათბიროში ნათლად გამოსახა ბ. ჯაბადარის „ქართული ფიზიონომია“.

ქართლ-კახეთმა წამოაყენა თავის დეპუტატად — მომზადებული, მცოდნე, ნიჭიერი ქართვე-

ლი, — ცნობილი ლ. ანდრონიკაშვილი. სომხის ამომრჩევლებმა საუცხოვო ერთობით გამოილაშქრეს ქართველობის კანდიდატზე და გადასწყვიტეს გაეშავებინათ იგი... რატომ?

იმიტომ რომ ლ. ანდრონიკაშვილი ქართულ ეროვნულ ჯგუფების წარმომადგენელი იყო. მართალია, ამისთანა გადაწყვეტილებით 15 სომეხიც დიდ ხიფათს წარმოადგენდნენ ჩვენ რეპუტაციისთვის. მაგრამ მაინც საქმე ერთი, ორი კენჭით სწყდებოდა.

და აი სწორედ ამ წუთს გამოდის „ცნობილი ქართველი მოღვაწე“ ბ. ივანე ჯაბადარი და არა მარტო უერთდება სომხებს თავის შავი კენჭით, არამედ „ტკბილ, ნარნარ, ლამაზ სიტყვებით“ უმტკიცებს ამომრჩეველთ, რომ ლ. ანდრონიკაშვილი „ნაციონალისტი“ არისო და ამიტომ სათათბიროში ვერაფერს გააკეთებსო...

და ამ რიგად სომხებსაც მისცა საბუთი ეთქვათ, რომ აი, „ქართველი მოღვაწეც“ ჩვენი შეხედულობისააო და ორმა შავმა კენჭმა მოუღო ბოლო საქართველოს დემუტატს...

გნლა ვკითხოთ ბ. ჯაბადარს?

როდის დაშრიტავს ბოლომდის თავის ბოროტ მოღვაწეობას ქართველ ერის წინააღმდეგ? როდის მოიხსნის „ქართველ მოღვაწის“ ნიღაბს, რომლითაც არა ერთხელ მოუტყუებია ქართველი საზოგადოება?

ვკითხავთ ქართველ საზოგადოებასაც, როგორ უთმობს ამისთანა მოღალატეს და ქართველების მტერს, საპატიო აღაგს ქართველ მოღვაწისას?

განა ქართველი ეროვნული ცხოვრება ისე დაძაბუნდა, დაუძღურდა, რომ ამისთანა პირები პირველ სავარძელში იყვნენ გამოკომულნი? იქნება საზოგადოებამ მართლაც არ იცის რა ქორი დასტრიალებს ქართულ საქმეებს ჯაბადარის სახით?!

უნდა იცოდეს!

და დროზედ უნდა აღაგმოს მისი მავნე და გამხრწნელი მოქმედება. ამიერიდან საზოგადოებამ უნდა შეიგნოს, რომელ ანტიეროვნული ელემენტებისაგან არის მოშხამული და შეჩერებული განვითარება ჩვენი საზოგადო საქმისა და უსირცხვილო რენეგატების მოქმედებას საზღვარი უნდა დაუდოს. განდევნა ყველა ჩვენი დაწესებულებიდან ასეთის აღამიანებისა, აი უძვირფასესი პედაგოგიკა, რომელიც აღზრდის მომავალ თაობას მტკიცე ზნეობაში.

ეკალი.

ქართველ კათოლიკე მღვდელ გვარამაძის წერილიდან

(ეურნ. მოსავალი № 15)

ქართველი

„...მასპინძლის გულკეთილობა კაცობრივად ერთობით რათ უნდა მივადეს ისეთს სიბეჩავემდარს, რომ მისმა მიღებულმა მათრევალა-მაწანწალა ვინცაა მგონია სტუმრებმან, თავის სახლ-სადგომზედაც მფლობელობა დაიწყონ და მასპინძელს თავის სავანეშიც არ აყენებდნენ და გარეკარზედ აგდებდნენ გათამამებული თავგასულობით. მე-V საუკუნეში სომეხები რომ დამარცხდნენ ვარდანის დროს, ბუზფუტკარივით გამოქცეულნი, სამესხეთოში შემოცვივდნენ, სადაც მთავარმან და თავად-აზნაურობამაც სიყვარულით მიიღეს იგინი. რა წარმოდგამათი მიღებისაგან? ჩადგნენ ჩვენს მამულში და უწოდეს პირველ სომხეთად, მეორედ და მესამედ სომხითად, რადგან კაპადუკამდის და ლაზისტანამდის სამესხეთო იყო. ლიჯნის ხეობა და ტაოსკარიც მასთან ერთად შეითვისეს. მე-V საუკუნეში დავით მეფე კურატპალატმან, მოუძღურებული სომხის ანისა და ყარსის მეფეები დაიცვა-დაიფარა სარაკინოზების მძლავრობისაგან, ჩაუყენა სომხეთში საზღვარზედ მტერთ, მრავალი სომხები და ქართველები შებრძოლად, რითაც შეავიწროვა მეტად მტრები, მასთან ბერძნების იმპერატორის მოქიშპე სკლიაქოსიც დაამარცხა და განსდევნა პარსეთში.

რა შეუდგა ასეთს მოკეთებობას? ეს რომ წავიდ-წამოვიდნენ დრონი სომხებმან თავიანთ მცველ-მფარველი ქართველების დიდი წილი დაასომხეს და ბერძნის იმპერატორმან მოაოხრა მეტად სამცხე!

ბოლოს დაჰკარგეს მეფობა სომხებმან. დარჩნენ ობოლ-ოხერსავით თავში-საცემლად ქურთ-სკივთებისა, არ დაინდეს როგორც პარსებმან, ისე ქრისტიანმა ბერძნებმაც. ასეთ დაჩაგრულ-დაღალულს გაოხრებულებს მე-XII საუკუნეში მოჰხვია ხელი ჩვენმა დიდებულმან დავით მეფე აღმაშენებელმან გაჭირბოროტებულ სომხობას დაუფუძნა შუა საქართველოში გორისთანა ქალაქი, გადმოასახლა იქ და სამცხის ხეობებში, ხერთვისისა და სხვ.

ქალაქ-დაბებში გაუხსნა სავაქრო-სახელოსნოები, აუგო ეკლესიები, შეიყვანა სამსახურში, ანუ გეშა მრავალ-რიგად, თავად-აზნაურობა არ დაუშურა. ადგილობრივი ქართველების მწერლებიც სომხები იყვნენ ისტორიის სიგლების, სამართლის წიგნის და ლექს-ზღაპრების მწერლებად. იმ

დღიდან, დღემდის მოჰყვნენ და ისარგებლეს არა მარტო მიწით, ვაჭრობით ხელოსნობით და სიმდიდრით, ისევე სახელსახსენებლით და ენითა. თბილისი ლამობენ სომხეთად აქციონ, სამესხეთო—თავოსკარად. იმიტომ რომ მართველად სასულიერო კათალიკოს-პატრიარხი ჰყავან მკვიდრი საეკლესიო მამულ-დედულით გაპოხიერებული.

ჩვენ კი მასპინძლური ყოველ ნაირი უფლებასიკეთებისგან მოკლებული ვართ, აღარა გვაბადიარა, მარტო ერთი ხმელი სულის მეტი.

მე-XII საუკუნეში ენამზე ჩვენი ქართველი მწერლების სამცხელ სარგის-თმოგველის, იოანე შავთელის, ჩახრუხადის და შოთა რუსთაველის მემკვიდრეთ, ჩვენის დაქვეითებულის უნაღვლელობით ერთი რიგიანი ქართული ლექსიკონიც არ მოგვეძევა ჩვენი ტკბილი ენის დასაცველ-დასაფარველად ჩვენს დიდ სანუგეშოდ.

დასასრულ გავლილ კვირის გაზეთში ღიმილსიცილით გაგვიხსნეს „ინტელიგენცია თქვენი გარუსდა, თავად-აზნაურობა და სამღვდელთობა გარუსდნენ, ახალგაზრდა ყმაწვილ-ქალნი „ბარიშნებად“

გამაიმუნდნენ, მარტო ერთი გლეხკაცობა დარჩენილა ქართველებად, ქართული ენა ტალა სახსანგბელია“?..

ამნაირად სამღვთო წერტილმწვეფებულობთ: „ასორების ადერ მეფემან ბაწრა-მისტისა თესლის რამდენიმე მეფენი და გაილაშქრა ებრაელების აქაბ მეფეზედ, შეესია სამარიაში და შეუთვალა თავისი მოციქულის პირითა აქაბ მეფესა: „შენი მთელი ოქრო ვერცხლი, სიმდიდრე, საცხოვრებელი ჩემია, შენი დედოფალ-მეუღლენი ყველა ჩემია. შენი შვილებიც სულ ჩემიაო“. აქაბ მეფემ შიშისაგან მოახსენა პასუხად: „რასაც ბრძანებთ სწორედ მართალიაო“.

ასე არის დღეს ჩვენი საქმეცა, აქაბმან გაიმარჯვა და ჩვენი მომავალი ღვთის ხელშია.“

ვინმე მესხი.

18 მაისი, 1911 წ.

ქ. ახალციხე.

## ეკონომიური ცხოვრება და კოოპერაცია.

### ახალი კანონი სასოფლო-სამეურნეო საცდელ სადგურთა დაარსების შესახებ

ახლად დამტკიცებული კანონი დიდს შეღავათს აძლევს სამეურნეო საზოგადოებათ საცდელ სადგურების დაარსებაში და უპატივებელი დანაშაული იქნება საზოგადოებისაგან და ყოველ ჩვენი მოღვაწისაგან, არ დაეხმაროს ამ კანონის ფართოდ გამოყენებაში ჩვენს სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას, რომელიც თავის მხრითაც დიდს დანაშაულს ჩაიდენს, თუ ამ იდეას მტკიცე საფუძველი არ ჩაუყარა საზოგადოების გულში, რომ რაც შეიძლება მეტი თანხა შეიკრიბოს საცდელ სადგურების დასაარსებლად. მთავრობა იძლევა სამს მეოთხედს საჭირო თანხიდან, თუ საზოგადოებამ გამოიღო მხოლოდ ერთი მეოთხედი. ეს ისეთი სახარბიელო მოვლენაა, რომ ყველა მოვალეა ანგარიში გაუწიოს...

მაგრამ ამასთან გვიკვირს რომ ჟურნალ „მოსავალს“ შეცდომა მოსვლია ამ კანონის განმარტებაში და, ცოტა არ იყოს, უხერხულ მდგომარეობაში აყენებს მკითხველს.

ჟურნალ „მოსავლის“ № 15 და 16-ის მოწინავე წერილი ისე განმარტავს ამ კანონს, ვითომ

ყველა სამეურნეო საქმეში მთავრობა სამს მეოთხედს თანხას გაიღებს.

ეს შემცდარი აზრია, როგორც მკითხველიც დაინახავს ქვევით მოყვანილ კანონის წაკითხვით. კანონი შეეხება განსაკუთრებით საცდელ სადგურებს, რაც თავისთავადაც ძვირფასია და მდაბიური ახსნა ამ კანონისა იქამდის არ უნდა მივიდეს, რომ ამბობდეს: ერთი ხარის პატრონს, მთავრობა კიდევ სამს უყიდისო.

კანონი ასე ამბობს:

I. დაეკისროს ხაზინას სამი მეოთხედი იმ ხარჯისა, რომელიც დასჭირდებათ ერთდროულად და ყოველ წლივ ერობებს, სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებათ და სხვა საზოგადო სამეურნეო დაწესებულებებს, მათ მიერ განზრახულ სამეურნეო საცდელ სადგურების დაარსებისათვის და მათ მართვამგებობისათვის, უკეთუ ამ სადგურებს ექნებათ მიზნად: 1) შეაერთონ მეცნიერულს ნიადაგზე რაიონში არსებული ყველა საცდელ დაწესებულებათა მოქმედება და დააკმაყოფილონ მათი მოთხოვნილებანი; 2) შეიმუშაონ სხვა და სხვა მეთოდი გამოკვლევისა და 3) შეისწავლონ მეურნეობის და ისტორიული მხრივ აქაური რაიონი სისტემატიურად.

II. მიწათ მომწყობის და მიწად-მოქმედების უფროს მართველს მიენიჭოს უფლება: 1) აღმოუჩინოს ხოლმე, თანახმად ამა კანონის პირველი მუხლისა, დახმარება ერობებს, სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებებს და სხვა საზოგადო სამეურნეო დაწესებულებათ, რომელნიც იკისრებენ ამ საცდელ სადგურების ზედანხედველობას, და 2) დაამტკიცოს საცდელ სადგურის გამგე კომიტეტის წევრნი, რომელთაც აარჩივენ ამ საქმით დაინტერესებული დაწესებულებანი.

III. დაწესებულ იქმნას საცდელი ზოოტექნიკური სადგური და სამეურნეო მაშინა-იარაღების გამოსაცდელი სადგური ზოსკოვის სამეურნეო ინსტიტუტში და საცდელი სადგური მებღეობისა სახელმწიფო მამულში „სალგირკა“, თავრიდის გუბერნიისაში.

IV. მიეცეს მიწათ მომწყობის უფროს მართველს უფლება უმაღლეს სამეურნეო სასწავლებლებში საცდელი სადგურების დაარსებისა მოთხოვნისა დაგვარად და მათთვის საჭირო თანხის შეტანისა წლიურს ხარჯთაღრიცხვაში.

V. კანონი ესე შეტანილ იქმნას ცხოვრებაში 1 იანვრიდან 1913 წლისა.

**კოოპერატიული მანქანი.**

1911 წელს კახეთის და თიანეთის ოცამდე მუქდებულმა პირმა, მოაგროვა ერთმანეთში ექვსსაო თუმანი და გამოაქვრა ინგლისის ფირმის „კლეიტონის და ანს“. რვა ძალიანი მრთქლ-საღეწი მანქანა სანიავებულით ეს მანქანა თბილისშიდის მოტანით ამხანაგობას დაუჭდა ცხრას რმაცდა ათი თუმანი შეტანალი აქვო ჭკრჭკრამბიყ ექვსსაო თუმანი, დანარჩენი 350 თუმანი რრი წლით უსარგებლოდ დასცადლიათ.

დღე-ღამეში მანქანა 800 ფუთსა ღეწავს.

ამხანაგობა ღეწვაში ჰურს იღებს და იქვე, ალაგობრივ ჭეიდის ერთ მანეთად ფუთს. თვეში სარჯია 250 მანეთი აქვო, წმინდა შემოსავალი ამხანაგობას რჩება თვეში 800 მანეთი.

პირველი ღეწვა ამხანაგობამ დაიწყო ხაფარეულის საუფლისწულო მამულში. აქედამ სანარკეში და ართანაში გადაიტანა მუშაობა. გარეშე, გლეხკაცობა თავის დადგმულ ძნებით ელადებოდა მანქანას. ზოგიერთ სოფლებს ჩხუბიტ კი მოსკლოდათ ერთმანეთში. მაგადიყად, ფშაველის გლეხობას დაქმირდნენ: მანქანას თქვენთან ამოვიტანოთ და არ წაუღიყათ. ფშაველის გლეხობა დარჩასხას მშრადი...

ესლა მათშიაც მოქმე-მოთქმა დაიწყო... ამბობენ მთელი ფშაველი საზოგადოება ამხანაგობა მანქანის ეიდვას. ამ რიგად კოოპერატიული ანს ნელ-ნელა იკიდებს ფუხს ჩვენს მიურეებულ მანქანებშიც... ესლა სჭირას მარტო ენერგიული ინსტიტუტები ამ საქმეებისა...

**პირველი ცდა.**

სოფ. თამარქენში (კარას მაზრა.) ქართლის აკრონოს, ე. კარბელაშვილს საცდელად მანქანით დაუთესია სიმინდი. ამ ცდას კარგი შედეგი მოჰყვა: მანქანით დათესილი სიმინდი დაღვა დესუტინახედ—130 ფუთი (27 კოდი), ხელით დათესილ სიმინდი კი—102 ფუთი (20 კოდი). ასე რამ მანქანით დათესილი სიმინდი, შედარებით ხელით დათესილთან, მეტად ბარტეობს და უნდა ვითაქროთ ამისთანა მანქანები, ქართული სასოფლო-სამეურნეო საზოგადოება უნდა ეცადოს, რაც შეიძლება მეტი გაავრცელოს ჩვენს სოფელში.

**შეცხვარეობა საქართველოში.**

ამიერ კავკასიის საბუიოლო მართველასობის განცუღარობის უკანასკნელ ცნობებით, ცხურის რაოდენობა საქარაველოში ამხაირაბა:

	ცხვარი	თხა
თბ. გუბერნიისაში	1,743,563,	66,754
ქუა. გუბერნიისაში და სახუმ.	92,779	55,317
ბათუმისა და ართუისის ოლქ.	69,543	9,775
ზაქათალის ოლქში	67,821	8,202
სულ	1,964,806	140,048

(ფურ. „მოსავალი“.)

**ფილოქსერა კახეთში**

24 დვინობისთვის, ე. სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭოს სხდომა მოხდა...

მთელი საღამო კრებამ მოანდომა იმ.ს, თუ რა ზომები უნდა იყოს მოღებული კახეთში შემოსულ ფილოქსერის წინააღმდეგ.

ცხარე კმათი გამოიწვია იმ საკითხმა, სცნოს ე. სასოფ.-სამ. საზოგადოებამ ფილოქსერით დაავადებულად მთელი კახეთი, თუ მარტო მაწანწარას რაიონი (თელივის მაზრაში). პირველ შემთხვევაში კახეთის კარები უნდა გაიხსნასო თავისუფალ შემოტანისთვის ამერუიკული ვაზი! ასხვა და სხვა მხრიდან. მეორეში უნდა შეიკრასო მარტო ფილოქსერით მოღებული რაიონი და აკრძალუ-

ლი იყოს იქიდან გადატან-გადმოტანა მეღვინეობის და მევენახეობის მსაღისა, საქონლისა... პირველ აზრის მომხრენი ამტკიცებდნენ, რომ სულ ერთია ფილოქსერა დღეს-ხვალ მთელ კახეთს მოედებოდ. ბარემ ეხლავე ურჩიოთ ხალხს, შეუდგნენ თანდათან ამერიკულ ვაზით ვენახების გაშენებას. მეორეს მომხრენი უპასუხებდნენ: რად უნდა ვიცნოთ მთელი კახეთი ფილოქსერით დაავადებულად, როცა ჯერ მარტო კახეთის ერთს კუნჭულში გამოჩნდა ფილოქსერა და მარტო 10—15 წლის შემდეგ თუ გადაედება სხვა რაიონებსაცაო. წინააღმდეგ შემთხვევაში კი 4—5 წელიწადში ფილოქსერა მთელ კახეთში გაჩნდება და, ვერც თავის შველას მოვასწრობთ და არც ნაყადი ამერიკული ვაზი გვაქვსო კახეთში. ბევრი ჯიში გამოუსადეგარი იქნება კახეთის მევენახეობისათვისო...

დიდი ხნის ბაასის შემდეგ საბჭოში დაადგინა მეორე კრებაც ამ ფრიად მნიშვნელოვან საკითხს მოანდომოს საბოლოოდ გამოსარკვევად.

## კორესპონდენცია

ქ. ბაქო. გვირას, 14-ს დღეობისთვის აქაურმა წ. კ. გ. ს. განყოფილების გამგეობამ გახსნა უფასო საკვათაო სკოლა და იმას, ვინც არ დაიზარებს სიარულს, ასწავლიან თავისუფალ წერა-კითხვას, ანგარიშს და სხ. იმათვის კი, ვინც იცის წერა-კითხვა და მომზადებულია ცოტად თუ ბევრად, განზრახვითა, იკითხონ ლექსები ქართული ისტორიიდან, მწერლობიდან და სხვა. მატარებლისა და სრულიად უსწავლელთა სწავლება იქისრეს ადგილობრივმა მასწავლებელმა ქარაუკლამს ქაჯების უსასეიდლოდ, რისათვისაც დიდი მადლობის ღირსნი არიან. პირველი ლექცია წაიკითხა ჩვენმა გამომცემელმა ძველმა პედაგოგმა ად. ხასიძემ. ამ გვარად ჩაიყარა საძირკველი ფრიად სასარგებლო საქმისა და ერთ სუბიექტს დღედ უნდა ჩაიყვანოს ბაქოელი ქართველების ცხოვრებაში.

ამ მახუთის ქვეყანაში, დაშარებულთ თათქმის უფლებსავე ჩვენსას, რომელნიც მოკლებულნი ვართ ჩვენს სამშობლო ენაზე დაზარაკსაც კი, რაღა აქმა უნდა, სიამაღებო მოკლებულ უნდა მივიჩნიოთ ეს ახალი მოკლება რომელნიც შეიძლება შემთავრებულ ხიდად გახდეს ჩვენსა და მოწყობილ ქართველ საზოგადოების შუა. ვამეორებ, დიდი მადლობის ღირსნი არიან მოთავენი ამ მნიშვნელოვანი საქმისა, და იმედია დაწვებულს ბოლომდე მიიყვანენ თავიანთ სასახელოდ. ჩინებუ-

დი შაბუკჭდილებს მათხდინა არაშე თუ ახადგაზრდობა-ზედ, არაშედიდებზედაც ბ-ნ ა. ხასიძის მოხერხებულმა და სხარტულმა ლექციამ. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ბ-ნი ა. ხასიძე არა ერთხელ გაგვანებებს კვლავაც თავის ლექციებს.

გიორგი მთელი

აქვე სიამაღებებით უნდა ადგინებო იხიცი, რომ აქაურმა ჩვენმა თანამემამულემ ცნობილმა მოვაჭრე ბოსტაგანიშვილმა აღუთქვა საზოგადოებას სამას აუქმამდე დიანებული ავეჯი; უკეთუ ასეებით დარბაზსა და სტენასაო. კული სიამაღებებით გვესება, როდესაც ჩვენში ამ უკანასკნელ დროს ჩნდებიან ისეთი მამულები, რომელნიც არ იმეორებენ თავიანთ წვდილს და მხურვალედ კიდებიან საზოგადო საქმეს. დარწმუნებულნი უნდა ვიყვნეთ, რომ არც ერთი ქართველი, არ დაიმუჩებს თავის წვდილს და მადე საკუთარი სტენა და დარბაზი გვექნება.

მეთვალუურე.

## შარპანტი

პარიზიდან იწერებიან, რომ ცნობილი კომპოზიტორი შარპანტიე საფრანგეთის აკადემიის წევრად აურჩევიათ. აკადემიის წევრობა უმაღლესი ჯილდოა, რითაც ამკობს საფრანგეთი, თავის საუკეთესო შვილებს მეცნიერებისა და ხელოვნების დარგში. მაგრამ, რადგანაც თვით „უკვდავთა აკადემია“ მომაკვდავ ადამიანებისაგან შესდგება, რომელთაც დიდი ნიჭის, ცოდნის და დამსახურების გარდა, სხვა ყველა ადამიანური და წვრილმანი თვისებაც უხვალა აქვთ, აკადემიის არჩევნებიც იმავე ინტრიგის და რეტროგრადობის მორევში სცურავს, როგორც სხვა ყოველი არჩევანი. მომხდარა ისიც, რომ, ამ ინტრიგებისა და რეტროგრადობის წყალობით უნიჭო ადამიანებიც მოხვედრიან აკადემიაში და მრავალ ნიჭიერ და დამსახურებულ ფრანგს კი დიდხანს უცდია „ვაკანსიისთვის“. რამდენად ჩვეულებრივი და ტიპიური იყო ასეთი მოვლენა ეს იქიდანაც სჩანს, რომ ლიტერატურაშიაც კი იბოვა მან თავისი გამოძახილი და ერთმა ცნობილმა ფრანგმა რომანისტმა აკადემიის ცხოვრებას რომანიც კი უძღვნა, სახელად „უკვდავნი“. ამ რომანში საუცხოვოდ არის აწერილი გახრწნილება სამეცნიერო და ბურჟუაზიულ საფრანგეთისა.

სახელგანთქმული ზოლა რამდენჯერმე გააშავეს, ვიდრე „უკვდავთა“ წრეში მოხვედებოდა, მგერამ ზოლა კარგად ხედავდა რაშიც იყო საქმე და მიუხედავად ამისა, ენერგიულად აყენებდა თავის კანდიდატურას. ეს იყო ბრძოლა ახალის სა-



ფრანგეთისა გაყინულ და რეტროგრად აკადემიზმთან. ზოლამ ბოლოს გაიმარჯვა.

არა ნაკლებ სიხარულს იღუძრავდა საფრანგეთს შარპანტიეს გამარჯვება. იგი ნიჭიერი კომპოზიტორია. იგი პირველი კომპოზიტორია საფრანგეთში, რომელმაც კლასიკურ თემებს გზა აუჩვია და თავის ნაწარმოებში—მეფეებს, პრინციბის, ჰერცოგების, სასახლეების და ციხე-კოშტების ნაცვლად გამოიყვანა მუშები, მხატვრები, პარიზის ბოგემა, აუცილებელ მანსარდით და საზოგადოთ მონმარტრი—ეს უუღემოკრატესი ნაწილი ბრწყინვალე პარიზისა.

შარპანტიემ თავისი კანდიდატურა წაშოაყენა აკადემიაში. წარმოდგენით განცვიფრება ყველისი, როცა მუსიკალურმა სექციამ, რომელიც კომპოზიტორებისაგან შესდგება, ხუთი კანდიდატის სია წარუდგინა აკადემიას და შარპანტიე კი შიგ არ მოაქცია. ძველმა კომპოზიტორებმა შარპანტიე ღირსად არა სცნეს. ამან ისეთი გავლენა მოახდინა მთელს აკადემიაზედ, რომ წინააღმდეგ მუსიკალურის სექციისა, რომლის აზრსაც ყოველთვის გავლენა ჰქონდა ხოლმე, როცა აკადემიკოსად მემუსიკეს ირჩევდნენ—მთელმა აკადემიამ ერთხმად შარპანტიე დაასახელა. ყველა აკადემიკოს კომპოზიტორებმა შარპანტიეს, რასაკვირველია, შავი კენჭი მისცეს. მიუხედავად ამისა, შარპანტიე დიდს ხმის უმრავლესობით იქმნა ამორჩეული.

ლიტერატორები, მხატვრები და მემუსიკენი შარპანტიეს გამარჯვებას თავის გამარჯვებადა სთვლიან.

### ნ ა რ ე ვ ი

ერთი მთელადი ამერიკელი აკვიწერს, თუ რასოვას არის გამოსადეგი ძველი გაზეთი.

ძველი გაზეთები ვატეხად მანუბის მაგაერობასს სწევენ. რამდენიმე ფურცელი, ერთად შეკრული, ფესსატმელებში ჩასაწყობი ქუსლების მაგაერობასაც კარგად ასრულებენ და მეტად აბილად ანახვენ ფესს. დარბი ხაფნი გაზეთის იუხებზედ იხვევს აბილად წახდების მაგაერად. ამის გარდა, გაზეთის ქადადი დად სამსახურს უწევს სხვა და სხვა ბეწვეულობის შესახვას: კარგად აფარავს რხილისგან, რამუქსაც ტიპოგრაფიის მექანის სუხი ძადაიან ეჭავრება.

დახდახში ძველი გაზეთები, ხშირად იხმარებს ზეწრებად და, რადგან სიცაყე აბილად ვერ ატანს, ხან-

დახან აბილად სანის მაგაერობაც შესდგება. დახდახში ხშირად შეხედებით დარბებს, რამუქსაც ტიპოგრაფიის, რამდენიმე ნამუქსა გახვეულნი, ტუბადას ძადაით განსუქსებენ.

ეროვნული  
ბიბლიოთეკა

შეცდომის გასწორება: მე-6-ე №-ში ჩვენი ჟურნალისა ი. კრამაშვილის ფექსი შეცდომით და შეცდომებით იყო დაბეჭდილი.

რედაქტორ-გამომცემელი  
რ. გაბაშვილი.

## გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

სამეცნიერო-პედაგოგიური და სალიტერატურო ჟურნალი.

# „განათლება“

1912 წლის იანვრიდან ჟურნალი „განათლება“ გამოდის ყოველ თვის შუა რიცხვებში გარდა ზაფხულის ორი თვისა. ჟურნალის მიზანია ხელი შეუწყოს სწავლა-განათლების საქმეს ჩვენებურს სკოლებში და ოჯახებში.

ჟურნალი გამოდის დასურათებული.

ჟურნალში მონაწილეობას იღებენ ჩვენი საუკეთესო მეცნიერები, მწერლები, პედაგოგები და პოეტები.

ხელის მონწერთათვის წლიურად ღირს სიმი მანეთი და ათი შაური (3 მან. 50 კ.), ნახევარი წლით ორი მანეთი (2 მან.); საზღვარ გარედ ჟურნალი ეღირება 5 მანეთი.

რედაქცია სთხოვს ხელის მომწერლებს დროზე დაიკვეთონ ჟურნალი.

ხელის მოწერა მიიღება თბილისში „ქ.-შ. წერაკოთხვას გამაერცელიბელ საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში ივანე ავალიშვილთან და „ნაკადულის“ რედაქციაში. ქუთაისში წიგნებისა და გაზეთების კანტორა „იმერეთი“, ისილორე კვიციანი ძესთან, ბათომში წიგნის მაღაზია „განთილი“, ამ ორ ადგილს იყიდება ცალკე ნუმრებიც.

1912 წლის იანვრიდან ჟურნალი ნისიად არავის გაეგზავნება.

მისამართი: Тифлисъ Дворянская Грузинская Гимназія: Л. Г. Боцвадзе.  
რედაქტორ-გამომცემელი ლ. გ. ბოცვაძე.